აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 25 ივლისის №11 ბრძანებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

2025 წლის 13 აგვისტო

ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (შემდგომ - უსკო) 3 კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომ - საკონკურსო კომისია) შეიკრიბა 2025 წლის 13 აგვისტოს 12:00 საათზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ბათუმი, ლუკა ასათიანის №37).

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდა საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობა, კერძოდ:

- როინ მალაყმაძე
- ლევან ჯაყელი
- თამარ სირაძე
- ირაკლი ქუთათელაძე
- ვაჟა ცეცხლაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონკურსო კომისიამ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად (მომხრე - საკონკურსო კომისიის 5 წევრი) აირჩია საკონკურსო კომისიის წევრი - ლევან ჯაყელი.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ საკონკურსო კომისიის წევრებს განუმარტა, რომ უსკოს წევრის 3 თანამდებობაზე განაცხადი წარადგინა 5-მა პირმა: ნოდარ მელაძემ, ირაკლი გვარჯალაძემ, მარიამი გუგუნავამ, სოფიო კახაძემ, ლილე ტეტემაძემ.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ, უნდა შეარჩიოს და უმაღლესი საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენის მიზნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინოს უსკოს წევრობის იმდენი კანდიდატი, უსკოს რამდენი წევრიც არის ასარჩევი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს/შეაფასეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ წარმოდგენილი განაცხადები და სხვა შესაბამისი საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვის/შეფასების შემდგომ, უსკოს წევრობის კანდიდატების შერჩევის მიზნით გაიმართა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

1. ნოდარ მელაძე
   მომხრე - 5
   წინააღმდეგი - 0

2. ირაკლი გვარჯალაძე
   მომხრე - 5
   წინააღმდეგი - 0

3. მარიამი გუგუნავა
   მომხრე - 5
   წინააღმდეგი - 0

4. სოფიო კახაძე
   მომხრე - 0
   წინააღმდეგი - 0

5. ლილე ტეტემაძე
   მომხრე - 0
   წინააღმდეგი - 0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსში მონაწილე თითოეულ პირთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის ან მათ მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია თან ერთვის ოქმს, რომელიც ოქმის განუყოფელი ნაწილია.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ საკონკურსო კომისიას მოახსენა კენჭისყრის შემაჯამებელი (საბოლოო) შედეგები:

უსკოს წევრობის 3 კანდიდატად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენის მიზნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წარედგინება:

1. ნოდარ მელაძე
2. ირაკლი გვარჯალაძე
3. მარიამი გუგუნავა

კომისიის წევრები:

1. ლევან ჯაყელი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
2. როინ მალაყმაძე
3. თამარ სირაძე
4. ირაკლი ქუთათელაძე
5. ვაჟა ცეცხლაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

ლევან ჯაყელი - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	ნოდარ მელაძე	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვ-ნებს. წარმოდგენილი საკონკურსო დო-კუმენტაცია სრულყოფილია და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მისი პროფე-სიული გამოცდილების შესახებ. აღსა-ნიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება როგორც საოლქო საარჩევნო კომისიაში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, მათ შორის - ხელმძღვანელ პოზიციებზე. ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი. ასევე გააჩნია საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერად მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. აღნიშნული გარემოებები კანდიდატს შესაძლებლობას მისცემს ეფექტიანად წარმართოს თავისი საქმიანობა.
2	ირაკლი გვარჯალაძე	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და გააჩნია საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. სხვადასხვა პერიოდში საქმიანობდა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში. 2020 წლიდან არის უსკოს პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრი. ასევე გააჩნია საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერად მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. აღნიშნული გარემოებები კანდიდატს საშუალებას მისცემს ეფექტიანად წარმართოს თავისი საქმიანობა.

3	მარიამი გუგუნავა	წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატს მინიჭებული აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჯარო სამართალში. გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება უსკოში და ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი. კანდიდატის საარჩევნო გამოცდილება, საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გარდა, მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო (იტალია, ბულგარეთი) არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობასაც.
4	სოფიო კახაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ, სადაც იყო საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი, არ აქვს საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება.
5	ლილე ტეტემაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედი თანამშ-რომელი, კერძოდ ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი (ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული). გამომდინარე იქედან, რომ 2025 წლის 4 ოქტომბერს ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევ-ნები, ამ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედი წევრის ნომინირება უსკოს წევრად არჩევის მიზნით არ არის მიზანშეწონილი.

ლევან ჯაყელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

როინ მალაყმაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	ნოდარ მელაძე	წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილია და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მისი პროფესიული გამოცდილების შესახებ. კანდიდატს გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება საარჩევნო ადმინისტრაციაში სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიებში, მათ შორის - ხელმძღვანელ პოზიციებზე. ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. წლების განმავლობაში ასრულებდა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერის ფუნქციას, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად გააჩნია თეორიული ცოდნაც საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის საკანონმდებლო რეგულირების შესახებ.
2	ირაკლი გვარჯალაძე	წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არის სრულყოფილი და იძლევა დეტალურ ინფორმაციას კანდიდატის პროფესიული გამოცდილების თაობაზე. კანდიდატს აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება, საარჩევნო ადმინისტრაციაში სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიებში, მათ შორის უსკოს წევრის 2020 წლიდან. კანდიდატი წლების განმავლობაში მუშაობდა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერად, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ის გარდა პრაქტიკული საქმიანობისა და ფლობს თეორიულ ცოდნას საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის საკანონმდებლო რეგულირებაზე.

3	მარიამი გუგუნავა	წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატს მინიჭებული აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჯარო სამართალში. გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება უსკოში და ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი. კანდიდატის საარჩევნო გამოცდილება, საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გარდა, მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო (იტალია, ბულგარეთი) არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობასაც.
4	სოფიო კახაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ, სადაც იყო საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი, არ აქვს საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება.
5	ლილე ტეტემაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედი თანამშ-რომელი, კერძოდ ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი (ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული). გამომდინარე იქედან, რომ 2025 წლის 4 ოქტომბერს ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევ-ნები, ამ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედი წევრის ნომინირება უსკოს წევრად არჩევის მიზნით არ არის მიზანშეწონილი.

როინ მალაყმაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

თამარ სირაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	ნოდარ მელაძე	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატს აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიებში, მათ შორის მენეჯერულ პოზიციებზე. იგი არის უსკოს მოქმედი წევრი. კანდიდატს აქვს საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის სპეციფიკური გამოცდილება, რადგან იგი წლების განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული იყო ტრენერად.
2	ირაკლი გვარჯალაძე	წარედგინოს	კანდიდატს დოკუმენტაცია წარმოდ-გენილი აქვს სრულყოფილად. კანდიდატს აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდი-ლება, საარჩევნო ადმინისტრაციაში. კანდიდატი არის უსკოს მოქმედი წევრი. გარდა პრაქტიკული საქმიანობისა და ის დაკავებული იყო პედაგოგიური საქ-მიანობით, კერძოდ, მონაწილეობდა საარ-ჩევნო ადმინისტრაციის მიერ ორგა-ნიზებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში ტერენერად. კანდიდატი ფლობს BRIDGE-ს საერთაშორისო სერტიფიკატს საარჩევნო საკითხებში.
3	მარიამი გუგუნავა	წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატს მინიჭებული აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჯარო სამართალში. გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო

			გამოცდილება უსკოში და ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი. კანდიდატის საარჩევნო გამოცდილება, საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გარდა, მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო (იტალია, ბულგარეთი) არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობასაც.
4	სოფიო კახაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ, სადაც იყო საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი, არ აქვს საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება.
5	ლილე ტეტემაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედი თანამშ-რომელი, კერძოდ ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი (ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული). გამომდინარე იქედან, რომ 2025 წლის 4 ოქტომბერს ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევ-ნები, ამ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედი წევრის ნომინირება უსკოს წევრად არჩევის მიზნით არ არის მიზანშეწონილი.

თამარ სირაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

ირაკლი ქუთათელაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	ნოდარ მელაძე	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიებში, მათ შორის — ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი.
2	ირაკლი გვარჯალაძე	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიებში. ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი.
3	მარიამი გუგუნავა	წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატს მინიჭებული აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჯარო სამართალში. გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება უსკოში და ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი. კანდიდატის საარჩევნო გამოცდილება, საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გარდა, მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო (იტალია, ბულგარეთი) არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობასაც.
4	სოფიო კახაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის

			ორგანოების არჩევნების შემდეგ, სადაც იყო საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი, არ აქვს საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება.
5	ლილე ტეტემაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედი თანამშ-რომელი, კერძოდ ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი (ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული). გამომდინარე იქედან, რომ 2025 წლის 4 ოქტომბერს ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევ-ნები, ამ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედი წევრის ნომინირება უსკოს წევრად არჩევის მიზნით არ არის მიზანშეწონილი.

ირაკლი ქუთათელაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

ვაჟა ცეცხლაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	ნოდარ მელაძე	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია კანდიდატის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება წევრის სტატუსით საარჩევნო კომისიებში, მათ შორის უსკოში, ასევე ხელმძღვანელ თანამდებობებზე. კანდიდატი არის უსკოს მოქმედი წევრი. გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა კანდიდატს აქვს საარჩევნო სფეროში პედაგოგიური გამოცდილება და მონაწილეობა აქვს მიღებული საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ არაერთ საგან-მანათლებლო პროექტში.
2	ირაკლი გვარჯალაძე	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია კანდიდატის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება წევრის სტატუსით საარჩევნო კომისიებში, მათ შორის უსკოში. იგი არის უსკოს მოქმედი წევრი. გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა კანდიდატს აქვს საარჩევნო სფეროში პედაგოგიური გამოცდილება და მონაწილეობა აქვს მიღებული საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ არაერთ საგანმანათლებლო პროექტში. იგი ფლობს BRIDGE-ს საერთაშორისო სერტიფიკატს საარჩევნო საკითხებში.
3	მარიამი გუგუნავა	წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით

			დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატს მინიჭებული აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჯარო სამართალში. გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება უსკოში და ამჟამად არის უსკოს მოქმედი წევრი. კანდიდატის საარჩევნო გამოცდილება, საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გარდა, მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო (იტალია, ბულგარეთი) არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობასაც.
4	სოფიო კახაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ, სადაც იყო საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი, არ აქვს საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება.
5	ლილე ტეტემაძე	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუ-მენტაცია. კანდიდატი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედი თანამშ-რომელი, კერძოდ ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი (ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული). გამომდინარე იქედან, რომ 2025 წლის 4 ოქტომბერს ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევ-ნები, ამ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიის მოქმედი წევრის ნომინირება უსკოს წევრად არჩევის მიზნით არ არის მიზანშეწონილი.

ვაჟა ცეცხლაძე